ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინა

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 198. კვირა, 6 აგვისტო 1909 წ. დამატების № 35.

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედება მეორე.

(შემდეგი*)

არჩ. (უფრო დრმად აკვირდება ლელას ეოველ სიტყვას) გაოცებით კი გამაოცებდა, მაგრამ გონებითაც და გრძნობითაც ცოტაოდნათ მაინც შორს-მჭვრეტელი ადამიანი ჩქარა შეეთვისებოდა ამ უცნაურობას.

ლელა. (ცბირებს კიდევ რადაცის თქმას და ვერ ახერხებს).

არჩ. ლელა, თქვენ ...

ლელა. (ერთი შეირხევა ამაუურად, თითქოს მთელი თავის კამბედაობა მოიკრიფოო) ბატონო არჩილ!... წასვლის წუთების მოახლოვება მაიძულებს ჩავიდინო ისეთი უეცარი კამბედაობა, რასაც არას დროს არ ჩავიდენდი ორი, სამი, თუნდა ხუთის წლის განმავლობაშიაც... მხოლოდ თუ ეს კამბედაობა ღირსეულაო იქნა მიღებული თქვენგან, მაშინ ხომ მეც ბედნიერი ვიქნები, თუ არა და— მაშინ ეს ნაპრალი რომ მოსწყდეს და თან ჩამიტანოს, ის ემჯობინება ყველაფერს...

არჩ. მე მზათა ვარ თქვენს უმნიშვნელო კამბედაობასაც კი დიდის სიხარულით და სასოებით მივეგებო.

ლელა. მაშ კარგი... (უნდა განაგრძოს, მაგრამ აღარ შეუძლიან. თან მარიდებით, თან გამოუთქმელის ტანჯვით თავს ჩამალავს მკლავებში, თითქოს ჭლამობს ეველას და ეველაფერს დაემალოს, თითქოს თავის თავსაცაო).



მეფის მუშა, — ქანდაკება ბუშესი.

არჩ. ოო, ლელა! ნუღარ მეტყვით!... მე უკვე გავიგე, რის თქმაც უნდა თქვენ გულს...

ლელა. ... მიხვდით?...

არჩ. მივხვდი.

ლელა. მაშ პასუხათ რაღას მეტყვით?..

არჩ. (სწრაფვათა და დრმათ ჩაფიქრდება. მერე თავს ასწევს, თითქოს ერთის დაკვრით გადასჭრა რადაც სერიოზული რამეო) იყავეს ისე, როგორც თქვენ გულს ენატრებოდეს!..

ლელა. (თან სიხარულით, თან კოტაებით შეხედავს არჩილს, თითქოს არა სჯერა იმისი სიტყვებიო. მერე თავს ჩადუნავს ისევ სირცხვილით და ხელს კაუწვდის არჩილს).

არჩ. სიყვარულის ადამატურმა ძალამ მეც გამიტაცა და აღარ ძალმიძს წინააღმდეგობა გავუწიო მას. (ხელს აძლევს. ცოტახანს ეკრე არიან გაშეშებულივით, მერე არჩილი ხელს ასწევს და აუენებს ლელას) თქვენ თვითონ არა გჯერათ, რომ მოხდა ის, რაზედაც ამ ხუთი წუთის წინად ოცნებობდით! მეც არა მჯერა, მაგრამ აი, ჩვენი ხელები ამტკიცებენ ამას...

ლელა. (აღელვებული დაჰხედავს მაგრა ჩაბოჭილ ხელებს) მართალია!.. მართალია!..

არჩ. ცალ ხელს გაწვდით თქვენ და მეორეთი კი ვემშვიდობები აქაურობას. ამას იქით ამ ზღვის მღელვარება უნდა შეიცვალოს ჩვენი სიყვარულის მღელვარებათ. ამ ტყე-ველის სილამაზისა და სიმშვენიერის მაგიერობა უნდა გამიწიოს თქვენმა ტრფიალებამა და სიკეკლუცემ. როცა ამ ლაჟვარდოვან თბილ სხივებს პირბადეთ ჩამოეფარებიან შავი ღრუბლები, მაშინ ჩვენი სიყვარული უნდა მათბობდეს, მახარებდეს და მიშუქებდეს მთელ სიცოცხლეს! ოო, თქვენი სიყვარული მიმაქანებს იმ მხარეს, იმ ცხოვრებისაკენ, სადაც ყველაფერი მძაგს, მეზიზღება, მაგრამ ავიტან ყველა ამას, რადგან შვებათ მექნება თქვენი სიყვარული, თქვენთან სიხარული!.. მაშ გიყვარდეთ, გიყვარდეთ და მეც მეყვარებით!... (ამდრმა მოისმის მერცხლების ჭიკჭიკი)

ლელა. (თითქოს ჭიკჭიკმა გამოაფხიზლა ნეტარებისაგანაო) ოჰ, საყვარელო მერცხლებო! ნათელო მზეო! ტურფა მინ-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორ-ველო! თქვენ იყავით მოწმე ჩვენის ბედნიერების, ჩვენის სიყვარულის, ჩვენის მომავალისა!.. (ტოტახანს დგანან გაშტერებულნი. მერე ლელა გამოსტაცებს ხელს და თავბრუ დახვეულივით გაექანება მარცხნივ. არჩილ მიეურდნობა ნაბრალს და გაშტერებული გაიურება ზღვისკენ)

გამოდიან ექვთიმე და სვიმონ.

სვიმ. (იყურება აქეთ იქით) აი, აქაც კაი ჩრდილია, ღვთისო! აქ გამოვიტანოთ სუფრა.

ექვთ. ე დალოცვილი მზე ისე მიესწრაფის, თითქოს დაბარებული იყოს სადმეო. პურის ჭამას არცკი გვაცდის ჩრდილში.

ფრედერიკ კუკი

რომელმაც პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლიუსს.

ღვთისოსა და შალვას გამოაქვთ ხორაგეულობით სავსე მაგიდა. ზედ რამდენიმე ბოთლი ღვინოა.

სვიმ. (დაინახავს არჩილს) რად შემოგვწყერით, ბატონო არჩილ? (არჩილი ხმას არ იღებს)

შემოდის ლელა.

ლელა. (მივა მამასთან, კისერზე მოჭხვევს ორივე ხელს, მიიუვანს ნაბირისკენ და სიხარულით თავბრუ-დახვეული დაუწყებს უზომო კოცნას).

სვიმ. რა დაგემართა, ქალო? რა მოგივიდა?!

ლელა. რამე უნდა გახარო, თუ არ გამიჯავრდები. (კიდევ დაუწყებს კოცნას).

სვიმ. ჯერ მითხარი და მერე მაინც დამახრჩე, თორემ ეგრე როგორ იქნება!

ლელა. (აღელვებით რამდენსამე ხანს რადაცას ჩასჩურჩულებს სვიმონს ყურში).

სვიმ. (თვალებს გაკეტებს კოცნებული, თანაც სახეზე სიხარულის ალი გადაჭკრავს) ახ, შე ეშმაკო, შენა! (დაქუცით სიდას გაარტყავს ლელას. ლელა დარცხვენილი გაექანება ოთახისკენ).

ღვთ. რა ამბავია, ე ლელა რას დახტის გაწითლებული?

სვიმ. რალა რა ამბავია! ის, რაც ამდენმა ხალხმა ვერ შევძელით, ე მაგ ცუგრუმელას მოუხერხებია ხელათ, ჩვენი პურის ჭამაში.

ყველანი. როგორ, რაშია საქმე?

სვიმ. საქმე იმაშია, რომ ლელას და არჩილს თავიანთი გულები ერთმანეთში გამოუნასკვიათ და გაუთავებიათ საქმე.

შალ. ერიჰა ლელა! (ექვთიმე გაოცებით უცქერის არჩილს)

ღვთ. სად გაიქცა ის, ის... (აღებს ფანჯარას) ლელა, ლელიკო! აქ გამოდი, აქ! ნუ გვემალები ემანდა! (მიდის არჩილთან) არჩილ, კაცო! მაშ მართალია ეს? თუ ვოდევილის თამაშს აპირებთ ჩვენთან?

არჩ. მართალია.

სვიმ. (ფანჯარაში გადაჭეოფს თავს) აქ მოდი, შვილო, ლელა! მოდი აქ, რისა გრცხვენიან! (ლელა გამოდის დარცხვენით) ეს ისე უცნაურათ მომხდარა ყველაფერი, რომ მე მაინც ვერ დამიჯერებია... ერთი კიდევ გამაგებინე, კარგათ, მართალია, რაც მითხარი?

ლელა. ნამდვილი სიმართლეა!

სვიმ. მაშ შეგიყვარდათ, შეგიყვარდათ ერთმანეთი? (ლელა ბასუხის ნაცვლად უელზე მოეხვევა).

ღვთ. არჩილ, კაცო! წინად ხომ არა გქონიათ მიწერ-მოწერა ერთმანეთთან?

არჩ. (ჩაიცინებს) ჩემთვისაც ისე უცნაურია ეს ამბავი, როგორც თქვენთვის.

ღვთ. მაგრამ სინამდვილე ხომ მაინც გწამს?

არჩ. ცხადია! (ექვთიმეს) რა გაოცებით მიყურებ, ბიძა ჩემო? ვერც შენ წარმოგიდგენია ჩემი ასეთი უეცარი გადაწყვეტილება განა?

ექვთ. (მხრების აშმუშვნით) არ ვიცი, ვერა გამიგიარა!

არჩ. ეხ, რაც არის, არის! გული გულს იცნობს და სულისულსაო! ალბათ ჩვენმა სულმა და გულმაც იცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ კიდეც

ექვთ. კურთხეულ არს, უფალო, ყოველი სიტყვანი და საქმენი შენნი! (ცალ ხელს მოჭიდებს არჩილს, მეორეს ლელას) ახ, ნეტავი ჯვრის წერა მაინც ყოფილიყო შესაძლო აქა.

არჩ. არა მამაო! გინდაც შესაძლო ყოფილიყო, მე ეკლესიაში მაინც ვერ წამოვალ, რადგან მეც უნდა გულწრფელათა და ღრმა რწმენით მოვიყარო მუხლი იმის წინაშე, ვისაც ათასი წლობით შეჰღალადებდა ხალხი თავის გაჭირვებასა და სიხარულს; ვის გულისთვისაც სწირავდა მრავალს სიცოცხლესა და ბედნიერებას, მრავალ ცრემლსა და მშვიდობიანობას. მე კი არ შემიძლიან ასეთის გულწრფელობით წავსდგე იმის წინ; ორგულობაც კიდევ ჩემი საქმე არ არის.

ექვთ. თუ კი თქვენ შესძლებთ უსარწმუნოებოთ ცხოვრებას, თქვენი ნებაა, შვილო, მე ძალას ვერ დაგატანთ! მაინც ღმერთი იყვეს თქვენი მფარველი უკუნითი უკუნისამდე! (ლელა ხელზე ჭკოცნის)

შემოდიან ალექსი და ტიტო.

ტიტო. მამა, გემი მოდის, წავიდეთ!

შალ. რა დროს გემია, დაიცა! (ტიტო გაოცებული ხან აქედან მოურბენს და ხან იქიდან, ვერაფერი გაუგია).

ღვთ. აბა გენაცვათ, მაშ ერთი მადლიანი სადღეგრძელო მაიც ჩავარაკრაკოთ არჩილისა და ლელას სახელზე!

სვიმ. (დასხამს ღვინოს) შვილებო! კურთხეულ იყოს ის წამი, როცა თქვენ გადასწყვიტეთ ერთი-ერთმანეთის გაბედნიერება. გაგიმარჯოთ ისე, როგორც ჩემ მშობლიურ გულსა და თქვენ ბედნიერებას ენატრებოდეს! (დაჭკოცნის ორივეს და გადაჭკრავს).

ღვთ. ლელა და არჩილ! გისურვებთ ისეთ ბედნიერებას, როგორიც კი თქვენ ახლათ აღგზნებულ სიყვარულის ალზე შებრაწული ოცნება მისწვდება! ბედნიერ იყავით! გაგიმარჯოთ! და კიდევ ბედნიერ იყავით! (სვამს. გაისმის მრავალჟამიერი).

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე.

კარგა დაბინდებულია. მოქმედება სწარმოებს ხომალდში. მარჯვნივ გაჭიმულია გრძელი სასადილო მაგიდა. მარჯვნივ სიგრძეზე პატარ-პატარა ოთახებია, რომლებისაც მხოლოდ კარები მოსჩანან. წინა ოთახი კი, რომელიც არჩილის სამყოფია, მთლად მოსჩანს. მოწყობილება ჩვეულებრივია, როგორც კი მიღებულია გემში. მარცხენა კედელში რგვალი ფანჯარაა ზღვისკენ გასახედი. ასეთივე ფანჯრებია ჩამწკრივებული სასადილო ოთახის მარჯვენა კედელში. პირდაპირ ადის კიბე ბაქანზე. ფარდის ახდის დროს ოთახში ხუთი-ექვსი უცნობი პირია. ზოგს ჩერქეზულად აცვია, ზოგს —შტატსკურად. ისინი ერთად შეგროვილან, თან ფრთხილათა და ბეჯითად რაღაზედაც ჩურჩულობენ. ესეთი ჩურჩული გრძელდება სამ-ოთხ წამს. პირველი უცნობი დარიგებას აძლევს და კიბეზე მიდის.

მეორე უც. სინო, სხვები სად არიან?

პირ. უც. ნელა! სხვები ბაქანზე არიან. (ადის. დანარჩენები განაგრძობენ ჩურჩულს. კიბეზე ჩამოდის მიხეიდ დვალიძე. უცნობები, რა დაინახავენ, ხელად გაიშლ-გამოიშლებიან, თითქოს არც კი იცნობდნენ ერთი-ერთმანეთსაო, ზოგნი ოთახში შედიან, ზოგნიც კიბეზე ადიან ზევით. მიხეიდი შედის თავის ოთახში)

ჩამოდიან ლელა და არჩილ.

ლელა. ზღვის სიოზე კინაღამ შემცივდა. შენა, არჩილ?

არჩ. მე რა შემაცივებს! შენ ისეთი ცეცხლი ააგიზგიზე ჩემს გულში, რომ იმით გახურებულ ცხოვრებისა და სიკვდილის სიცივესაც კი გავუძლებ, არამც თუ ზღვის გრილს ნიავის ლაქუცს

ლელა. და მეც იმიტომ დაგიძახე ეხლა აქ, რომ ჩემ გრძნობასა და სიხარულს კარგად მოვათბობინო ხელები მაგ შენი გულის ჭიაკოკონაზე. (შედიან ოთახში)

არჩ. და თუნდაც უკეთესად გათბე და გაიხარო, უფრო ძლიერ უნდა შეუკეთო ამ ჭიაკოკონას შენის ტრფობით, შენის ალერსითა და სიკეკლუცით.

ლელა. თუ საჭირო იქნება, მე თვითონაც შევეკეთები მაგ ცეცხლს, მე თვითონაც, არა თუ დავზოგო ჩემი ტრფობა და ალერსი (ცოტა სიჩუმე)

არჩ. მაგრამ მაინც რა ჩქარა შევეთვისეთ ახალ გარემოებას, სწორედ საოცარია! თითქოს ორი დღე კი არა, ორი წელიწადი გასულიყვეს მას შემდეგ, რაც ჩვენმა გულებმა პირველად გაუღეს კარი ერთი-ერთმანეთის სიყვარულს.

ლელა. ალბად ჩვენი სიყვარული ისე ძლიერად მიაწვა ორივეს გულის კარებს, რომ ველარ გაუძლეს მის მსწრაფლ, მოულოდნელ იერიშს და შეუშვეს კიდეც შიგ.

არჩ. ეხლა ორივემ უნდა ჩავკეტოთ ჩვენი გულის კარები და აღარ გამოვუშვათ იქიდან ეს სიყვარული, აღარ გამოვუშვათ!

ლელა. ოო, ჩემო... ჩემო... სიცოცხლის ლამპარო! მე შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ ცას, აი, იმ ზურმუხტის ფრად მოკრიალებულ ცას მოსწყდეს ყველა მოციმციმე, მოკამკამე ვარსკვლავი, მაგრამ ჩემ გულს კი არ მოსწყდება ეს ნეტარი სიყვარული. იქნება გაზაფხულის ყველა ნაზი, სურნელოვანი ვარდი და ყვავილი ერთ მშვენიერ დილას, გაფურჩქვნის მაგიერ, სულ მთლად ჩაითუთქოს, ჩასჭკნეს დილის გამაცოცხლებელს ნამის ქვეშ, მაგრამ შენი სიყვარული კი არ ჩასჭკნება ჩემს გულში, არ ჩასჭკნება, ჩემო... მალხაზო!

არჩ. ჩემო ახალ გაზაფხულის მერცხალო, ეგრე უჭიკჭიკე, ეგრე უგალობე შენით მოჯადოვებულ ჩემს გულს და ტკბილი ხმებით ჩააწვეთე შიგ იმედი დაუსრულებელ სიხარულისა და ნეტარებისა.

ლელა. (ხელს მოჭიჭვევს მაგრა) შეიძლება ჩაჭქრეს ჩვენი ლამაზი, საყვარელი მზის სინათლე, მოისპონ ის თბილი, ლაჟვარდოვანი სხივები, რომლებიც დაესწრნენ მოწმეთ ჩვენ ახალ ცხოვრებას, ჩვენ მომავალს ბედნიერებას, მაგრამ შენი სიყვარული კი არ ჩაჭქრება, არ ჩაჭქრება ჩემს გულში და მარადის იგიზგიზებს იქ მისი ალი...

არჩ. არც ჩემ ყურებს მობეზრდებათ ოდესმე შენი ტკბილი ენით გამონახულ სიტყვების სმენა. ჩემი თვალები არასდროს არ დაიღლებიან შენის სიტურფისა და სიკეკლუცის ცქერით და ჩემი გული არასდროს არ აივსება, რაც გინდა უხვად ასხა შიგ შენი დაუშრეტელი გრძნობა სიყვარულისა და სიხარულისა.

ლელა. ახ, რა ბედნიერებაა, რა ნეტარებაა, როცა შენც გიყვარს ვინმე გაგიჟებით და იცი, რომ მასაც უყვარხარ თავდავიწყებით!..

არჩ. ო, სიყვარულო! რაკიღა დამიმორჩილე ეგრე ძლიერად, ეგრე მოულოდნელად, მაშ ნულარადროს ნუ გამანთავისუფლებ, რადგან ამ დამარცხებაში ვგრძნობ უზომო ბედნიერებასა და სიხარულს, უზომო შვებასა და ნეტარებას!..

გათუმის ოლქში მცხოვრებნი ლაზები.

ლელა. წინად მე მეგონა, რომ ნეტარი სიყვარული მხოლოდ პოეტების ლექსებში და ფანტაზიაში ბუდობს მეთქი და არა ნამდვილ ცხოვრებაში; მაგრამ ეხლა ვგრძნობ, თუ რა სუსტნი ყოფილან პოეტის ლექსები სიყვარულის სიდიადის გამოსახატავად; თუ რა მქრალი ყოფილა მისი ფანტაზია სიყვარულის აღმაფრენის საჩვენებლად! რომელი ლექსი დაჰხატავს ჩემი გულის ეხლანდელ ნეტარებას!.. რომელი ფანტაზია შეასხავს ხორცს ჩემ ათასნაირ იდუმალებაში შეკონილ სიხარულს, ჩემ სიამით შებოჭილ თავდავიწყებას, ჩემს უსაზღვროობით გარშემორტყმულს ნეტარება-სიხარულს!?..

არჩ. (ისეთის დრმა სინაზით მოჰხვევს ლელას ხელს, თითქოს არ უნდა შეარხიოს მისი არსებობა, მაგრამ აკრძნობინოს კი თვისი სიახლოვე და სასამო ლტოლვიდება) პირველად დაგინახე თუ არა, მაშინვე ჩემმა გულმა უცნაურად გაიღიმა და სულ სხვა გვარად დაიწყო ფეთქვა, მაგრამ მე ანგარიშს არ ვუწევდი ჩემ გულის-ძგერასა: მეშინოდა უგუნურად არ გადავეჩეხე იმ ცხოვრების უფსკრულში, რომლიდანაც ძლივს დავახწიე თავი, რადგან წინადაც დიდხანს ვეძებე იქ ნეტარი, გამაცხოველებელი სიყვარული, მაგრამ ვერ ვპოვე. არ ვიცი, სავსებით არ მოიძებნებოდა ის იქ, თუ მე ვერ შევსძელი იმისი პოვნა.

ლელა. ეხლა, მალხაზო, ჩემო სიხარულო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. ეხლა ასე მგონია, თითქოს გემში კი არ ვიჯდე, თითქოს ის კი არ მიმაცურებდეს საითმე, არამედ შენი სიყვარულის მისწრაფება, მისი მსუბუქი, ჰაეროვანი ფრთები მიმაქანებდნენ იმ ახალ ცხოვრებისა და ბედნიერებისაკენ, რომელიც ჯერ არ უხილავთ ჩემ თვალებს, მხოლოდ ოცნება შეფრინდებოდა ხოლმე მის მწვერვალზე, მხოლოდ ოცნება ეამბორებოდა ხოლმე მის უხილავ სახეს, მხოლოდ ის ჩაეკონებოდა ხოლმე მის ღიმილსა და სილამაზის რხევას...

ლელა. (წუარად) ფანჯარა მაინც გააღე, ცოტა სიომ დაჰბეროს, თორემ მეტი ნეტარება თითქოს სულს მიხუთავს, თავბრუს მახვევს (არჩილი წამოდგება ფანჯრის გასაღებად. ლელა, თითქოს ჩიტი გაფრინდაო, სახტად დარჩება ხელები ცარიელი; თითქოს ფანჯრის გაღებისთვის საჭიროო არ იყო არჩილის მისი ხელებისაგან განთავისუფლებაო)

არჩ. აქ მო, ჩემო მერცხალო (ლელა მიდის. არჩილი ერთ ხელს მოჭიდებს მკლავში, ხოლო მეორეთი უჩვენებს ცისკენ) ხედავ პირდაპირ ცაზედ მიქედილ მარგალიტ ვარსკვლავს?

ლელა. ვხედავ. ჩრდილოეთის ვარსკვლავია.

არჩ. ამას იქით მაშ იცოდე, რომ შენ ჩემთვის სწორედ, აი, ის ჩრდილოეთის ვარსკვლავი ხარ.

ლელა. რაღა სწორედ ჩრდილოეთის ვარსკვლავს დამადარე?

არჩ. როგორც იმის გარშემო დატრიალობენ ათასობით, როგორც მასზე მკრთალი, ისე მასზე ნათელი ვარსკვლავები, ისე მთელი ჩემი ცხოვრებაც თავის მცირე და დიდი საქმეებით სულ შენს გარშემო იტრიალებს ამას იქით (ლელა ჩუმად გასტქერის ცას)

კიბეზე ჩამოდიან სვიმონ და ღვთისო და ლაპარაკით იწყებენ სეირნობას საერთო ოთახში.

არჩ. რას გაშტერდი, ჩემო გვრიტო?

ლელა. მე მთვარეს მივაჩერდი. მინდა გავიგო, რას ატანს ის ჩვენთან თავის ნაზ შუქს; რას ჩასჩურჩულებს ჩვენ გულს იგი თავის ცივ სინათლით.

არჩ. მერე რა გაიგე?

ლელა. რა გავიგე? განა შენ კი არა გრძნობ, რაც უნდა გვითხრას იმისმა შუქმა: „...ეალერსეთ, ჰკოცნეთ, ახარეთ ერთი-ერთმანეთიო!..“ აი, ამას გვეუბნევა ის. (კეკლუცად მიეყრდნობა მკერდზე და თავს ნეტარებით დაჰხრის არჩილის მხარზე)

არჩ. ვგრძნობ, ჩემო კარგო! როგორ არა ვგრძნობ!

ლელა. ეხლა ასე მგონია, სულყველა ჩვენ შემოგვნატრის; ყველაფერი ჩვენ გვიძღვნის ქებათა-ქებას და გვიგზავნის კოცნას — ეს მოკამკამე ვარსკვლავებიც, ეს თეთრად მოლიმარე მთვარეც, ეს ზღვის ცელქი ტალღებიცა და ეს სიოც, რომელიც ესე ნაზად და საამურად ელაქუცება ჩვენ სახეს...

არჩ. ჩემო მალხაზო! სიყვარულმა ნამდვილ პოეტად გადაგაქცია. ისე ჭიკჭიკებ, თითქოს გაზაფხულის მერცხალი იყო ან მთვარიან ღამის ბუჩქებში მსტვენარი ბულბულიო.

ლელა. (უჩვენებს თვითონვე არჩილზე) ამისთანა სურნელოვან ვარდის ყნოსვა ბულბულად კი არა, რატომ თვით სირინოზათაც კი არ გადამაქცევს, მიკვირს სწორედ...

არჩ. ჩემმა ილბალმა ძალათი თუ შეგისვა მხრებზე და განგებ მოგაფრინა ჩემთან უდაბნოში, თორემ ესეთი ბედნიერი შემთხვევა სწორედ რომ დაუჯერებელია ჩვეულებრივ ადამიანის გონებისთვის.

ლელა. შენმა ილბალმა კი არა, ჩემმა ილბალმა შემომიტყუა იმ უდაბნოში, რომ მეპოვა ის, ვის ახლო დგომაც ესეთ სიამის თავბრუს მახვევს ამ წუთში. (ეურს მოჭკრავს სვიმონისა და ღვთისოს ფეხის ხმას) იქ ვილაცები დადიან! (გამოდის სასადილოში) მამა, შენა?

სვიმ. მე ვარ, გენაცვა.

ღვთ. რას შეკუნჭულხართ ცალკე ოთახში, ჰა, თქვე, თქვე...

ლელა. შენ ეხლა ყოველი ჩემი ნაბიჯი სულ თავისებურად გესმის.

ღვთ. კარგი, ლელაჯან! შენც ყოველ ჩემ სიტყვაზე ეგრე კი ნუ დაიწყებ ხტუნაობას.

გამოდიან არჩილ და ღვთისო.

ღვთ. (არჩილს მოჭიდებს ხელს და იმასთან დაიწყებს სეირნობას) როგორა ხარ, არჩილ? ხომ არ მოიწყინე?

არჩ. ეხლა ბევრიც მინდოდეს, ვინღა მომაწყენს!

ღვთ. ძალიან კარგად! ეგრე უნდა! მოწყენილობა ისეთი სენია, რომელიც სამუდამოდ აჭლექებს ადამიანის სულს და უკარგავს სიცოცხლის ხალისს. (ორივენი ადიან ზევით)

პირველი ქალი: მაშ გათხოვებას არ აპირებ?

მეორე ქალი: არასოდეს! მე გულ-კეთილი ადამიანი ვარ: რად უნდა გავაუბედურო ერთი კაცი, როდესაც ბევრის გაბედნიერება შემიძლიან...

გამოდის სვიმონ.

სვიმ. რას მეტყვი, ჩემო გიჟო გოგონავ?

ლელა. რა გითხრა მამა? (დასხდებიან სკამზე)

სვიმ. (ლელას თავს მიიხუტებს მკერდზე და ტკბილად მამოძბრივის გრძნობით დაუწყებს თმაზე ხელის სმას) შენ რომ მაცდური არა ყოფილიყავ, არჩილს ვერას გზით ვერ მოვაცვლევინებდით ფეხს იმ უდაბნოდან. ეხლა კი შენის წყალობით ისიც მოემგზავრება ახალ ცხოვრებაში შესასვლელად.

ლელა. შენ ხომ ძალიან კმაყოფილი ხარ იმით, რაც მოხდა?

სვიმ. კმაყოფილი ვარ, გენაცვალე, კმაყოფილი! და ან როგორ შემიძლიან არ ვიყვე კმაყოფილი იმით, რაც ჩემ ძვირფას გოგონას ახარებს და ანეტარებს?

(შემდეგი იქნება).

ლევ. მეტრეველი.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. ქიქნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.